

**რუსულ იო-პრევერბიან ზენათა ქართულად  
გადამოცემის საშუალებანი**

(რუსულ-ქართული ლექსიკონების მიხედვით)

სხვა პრევერბებისაგან განსხვავებით იო-არ გამოხატავს მიმართულებას. მისი ძირითადი დანიშნულებაა ზმნების დეტერმინირება. აქედან გამომღინარეობს იო-პრევერბის სხვა სემანტიკური ნიუასები<sup>1</sup>. იო-არსებითად ვერ ცვლის მოქმედების ხასიათს<sup>2</sup>.

იო-პრევერბთან არის დაკავშირებული რუსული ზმნის ექვსი სხვადასხვა მოქმედების წესის ანუ სახეობის (Aktionsarten, способ действия) გამოხატვა. ესენია: დაწყებითი, შემზღვდავი, შემარბილებელი, წყვეტილ-შემარბილებელი, განაწილებითი და ზოვადშედეგობრივი მოქმედების სახეობანი.

იო-პრევერბიანი ზმნების ქართულად გადმოცემის საშუალებებს ჩვენ ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელობების მიხედვით განვიხილავთ. ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ სამი რუსულ-ქართული ლექსიკონის, კერძოდ, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის („Русско-грузинский словарь“, 1846 და 1901), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული „რუსულ-ქართული ლექსიკონისა“ (1937) და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შედგენილი სამტომიანი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ (1956—1959) სათანადო მასალა. დასკვნებიც ამ მასალას ემყარება. მაგალითები ძირითადად მოყვანილი გვაქვს ამ უკანასკნელი ლექსიკონიდან.

<sup>1</sup> П. К. Ковалев, Функции глагольных префиксов в русском литературном языке; ეურნალში «Русский язык в школе», 1940, № 5, გვ. 16.

<sup>2</sup> К. А. Тимофеев. О функциях глагольной приставки по- в русском языке: Вопросы языка и литературы. Тематический сборник гуманитарного факультета НГУ, вып. I, ч. I, Новосибирск, 1966, გვ. 31.

1. უპირველეს ყოვლისა ითხოვთ გამოხატავს დაწყებით მოქმედების სახეობას. დაწყებითობის მნიშვნელობას გრამატიკულ მოვლენათა რიგს მიაკუთვნებდნენ<sup>3</sup>. პირველმა ა. პოტებნიამ მიაქცია ყურადღება ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა ასეთ აღრევას და დაწყებითი მნიშვნელობა ლექსიკურ მნიშვნელობათა რიცხვს მიაკუთვნა<sup>4</sup>.

აღსანიშნავია, რომ განაჩევენ დაწყებითი მნიშვნელობის ინქო-ატიურ და ინგრესიულ ნიუანსებს. ვა- პრევერბით გამოხატულ მნი-შვნელობას ინქოატიურ მნიშვნელობას უწოდებენ და ოვლიან, რომ ვა- აღნიშნავს ხანგრძლივი მოქმედების დასაწყისს; ითხოვთ გამოხატულ მნიშვნელობას ინგრესიულს უწოდებენ. ითხოვთ აღნიშნავს მოძრაობის დაწყებას ადგილიდან ერთი გარკვეული მიმართულებით, „შედეგის მიღწევას მოქმედების წარმოშობის პროცესში“<sup>5</sup>. ლ. დემი-ლენკომ სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი და დაასაბუთა, რომ როგორც ვა-, ისე ითხოვთ პრევერბს ინგრესიული ნიუანსის გამოხატვაც შეუძლია და ინქოატიურისაც. შდრ. Вслед за осиной полетело в грязь трухлявое бревно და И опять потекла мирная счастли- вая жизнь<sup>6</sup>. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია, რომ ა. ისაჩენკოს<sup>7</sup>, ი. მა- სლოვს<sup>8</sup> და ა. ბონდარკოს<sup>9</sup> ეს ორი ნიუანსი გაერთიანებული აქვთ ერთ დაწყებით მოქმედების სახეობის მნიშვნელობიდ (ა. ისაჩენკო და ი. მასლოვი მას ინგრესიულს უწოდებენ).

3 ვაგ.: А. Востоков, Русская грамматика, С.-Петербург, 1874, ვ. 80.  
Г. К. Ульянов, Значения глагольных основ в литовско-славянском языке, Варшава, 1895, II, ვ. 61. Ф. Ф. Фортунатов, Отчет о деятельности Отделения русского языка и словесности Академии наук за 1910 г., ვ. 16—18; А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Учпедгиз, Ленинград, 1941, ვ. 475.

4 А. А. Потебня, Из записок по русской грамматике, IV, изд-во АН СССР, Москва—Ленинград, 1941, ვ. 15—16.

5 В. В. Виноградов, Русский язык, Учпедгиз, Москва—Ленинград, 1947, ვ. 519.

6 Л. П. Демиденко, Способы выражения начала глагольного действия в русском языке: Ученые записки Ленинградского гос. педагогического института им. Герцена, № 248, 1963, ვ. 91.

7 А. В. Исаченко, Грамматический строй русского языка в сопоставлении с словацким, Морфология, II, Братислава, 1960, ვ. 225.

8 Ю. С. Маслов, Система основных понятий и терминов славянской аспектологии; ქრებულში — «Вопросы общего языкознания», изд. Ленинградского университета, 1965, ვ. 75.

9 А. В. Бондарко, Л. Л. Буланин, Русский глагол, Ленинград, 1967, ვ. 15.

როგორც რუსულ-ქართული ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვამ დაგვანახვა, დაწყებითი მოქმედების სახეობის გამომხატველი ზმნების პი-პრევერბი უველაზე ხშირად ქართული გა-პრევერბით გადმოიცემა. მაგ.: побежать გაქცევა: дети побежали вперед ბავშვები წინ გაიქცნენ; погнать გარევა: он погнал стадо в поле баюрино мибდორში гаრეя; полететь გაფრენა: орел взмахнул крыльями и полетел артигма ფრთები გაშალა და გაფრინდა; лошади помчались, понеслись ცხენები გაჭენდნენ, ცხენებმა გაქროლეს და სხვ.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გა-(გან-) პრევერბი ძირითადად შიგნიდან გარეთ მიმართულებას გამოხატავს<sup>10</sup> და აღნიშნავს მოცილებას, მოშორებას მიმართულების ჩვენების გარეშე<sup>11</sup>. მაგრამ, როგორც ვხედავთ, გა- მარტო მოშორებას და მოცილებას კი არ აღნიშნავს, არამედ სიცრცეში გიდაადგილების გამომხატველ ზმნებთან მოქმედების დაწყების აღნიშნასაც ახერხებს.

რუსულ ენაში მოცილებას, მოშორებას, ჩვეულებრივ, უ- პრევერბი გამოხატავს. ზემოთ ჩამოთვლილი რუსული ზმნების შესაბამისი ფუძეების მქონე უ- პრევერბიანი ზმნებიც ქართულად აგრეთვე გა-პრევერბიანი ზმნებით ითარგმნება. შდრ. მაგ.: побежать და უбежать გაქცევა; погнать და უგнатъ გаრевъ, გафренъ; полететь და უлететь გაფрѣнъ და ზოგი სხვ.

ამგვარად, გა- პრევერბი ორი რუსული პრევერბის (პი- და უ-) შესატყვისად გვევლინება.

როგორც ცნობილია, ქართულ ზმნას მიმართულების აღნიშნასთან ერთად პირველი პირის დამოკიდებულების გამოხატვაც შეუძლია. ამიტომ ამ ჯგუფის პი- პრევერბიანი ზმნების თარგმნისას პირველ პირთან დამაახლოებელი მიმართულების საჩვენებლად გამოპრევერბის ხმარებაა საჭირო. მაგრამ ეს მხარე არ არის გათვალისწინებული ლექსიკონებში.

ზოგჯერ ამ ჯგუფის ზმნები ლექსიკონებში წა- პრევერბიანი

<sup>10</sup> Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, 1855, гл. 73;  
<sup>ა.</sup> შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 249;  
<sup>ა.</sup> მარტიროსოვი, ზმნისწინების შედეგნილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 89.

<sup>11</sup> იბ. დ. ჩუბინაშვილის და ა. მარტიროსოვის დასახელებულა შრომები.

Чмбებით არის ნათარგმნი. მაგ.: побрести წაჩანჩალება, წაყიალება; поплестиесь, потащиться წაჩანჩალება, წათრევა; он потащился к дому სახლისკენ წაჩანჩალდა; жизнь потекла по старому ცხოვრება ძველებურად წარიმართა; потащить, потянуть წათრევა და ზოგი სხვა.

სამართლიანად არის შენიშნული, რომ მი- ზმნით გამოხატული მოძრაობის დასასრულ პუნქტზე მიუთითებს, წარ- კი ამ მნიშვნელობას მოკლებულია<sup>12</sup>. წარ- და აგრეთვე წარმო- პრევერბის დანიშნულებად სწორედ მოქმედების ღვენება და, ამდენად, ყურადღების მის საწყის პუნქტზე გადატანაა მიჩნეული<sup>13</sup>.

პირველ პირთა დამაახლოებელი მიმართულების ჩვენების საჭიროების საყითხი არც ამ შემთხვევაშია გათვალისწინებული ლექსიკონებში. გამონაკლისს წარმოადგენს აკადემიის ლექსიკონის понести და უნივერსიტეტის ლექსიკონის повести სტატია, სადაც წა- და წამო- პრევერბიანი ფორმები პარალელურად არის წარმოდგენილი.

რამდენიმე შემთხვევაში ამ ჯგუფის პი- პრევერბიანი ზმნები ქართულად და- პრევერბიანი ზმნებით გადმოიცემა. მაგ.: повеять სიოს დაბერვა: повеяло прохладой გრილმა სიომ დაბერა; повеяло весной გაზაფხულის სიომ დაბერა; подуть დაბერვა, დაქროლა: подул сильный ветер ძლიერმა ქარმა დაბერა; погнаться, потянуться დადევნება: собаки погнались за зайцем ძალები ძურდლელს დაედევნენ; потечь დადენა: у него потекла кровь სისხლი დადინა; понести დაქროლავს, დაუბერავს: из окна понесло холодом ფანჯრიდან ცივმა ქარმა დაქროლა; полить: дождь полил წვიმად დაუშვა და ზოგი სხვ.

როგორც აქ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ამ რამდენიმე შემთხვევაში დაწყებითი მოქმედების ჩვენებას ქართული და- ახერხებს. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ დაბერვა ზმნის ორი სხვადასხვა მნიშვნელობის თარგმანის შეპირისპირება: დაბერვა ზმნის დაწყებითი მნიშვნელობა და- პრევერბიანი დაბერვა და დაქროლა ზმნებით არის ნათარგმნი, ამავე ზმნის შედეგობრივი მნიშვნელობის გადმოსაცემად კი შე- პრევერბია მოხმობილი: დაბერვა ზეუბერე ფაფას.

ცალკეულ შემთხვევებში ლექსიკონებში დაწყებითი მნიშვნელობის პი- პრევერბიანი ზმნები მო- და ჩამო- პრევერბიანი ზმნებით

<sup>12</sup> ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

<sup>13</sup> ი. ვეზაძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბილისი, 1967, გვ. 122.

а́ролс га́дмову́мушлó. Ма́г.: помчаться, понестись монгуро́цъвло; подрать монжусвло, мону́ро́цъва; покатиться хамогоре́ба: я кубарем покатился с горы гоморида́н, монида́н хамогу́нчу́риа́лди и а́чо́го и съз.

Чу́вло и́асаса́хе́лле́бъ́лло я́ртую́лло зи́рье́рбди са́така́гмени ზმნე́ди са́хе́кტу́р (сърту́лло а́хе́кტи) мно́швнё́ллоба́са́ц га́дмову́мушлó са́хтую́лло́де.

2. по- зи́рье́рбди а́чмна́та са́хмаша́нде и́диди չგუ́зо შემზლу́дло и моне́дже́ди са́хе́маша́нде. га́мовка́ти.

გ. უ́ллиа́нано́ვо<sup>14</sup> და ფ. ფო́ртуна́то́в (сърту́лло а́хе́кტи)<sup>15</sup> შემზლу́дло и мно́швнё́ллоба́са а́хе́кტу́р мно́швнё́ллоба́დ თვლи́дნენ და მას დეტე́рмина́ტიუ́ლ мно́швнё́ллоба́ს უწო́дებდნენ, ა. შა́ხма́тно́в<sup>16</sup> ამ мно́швнё́ллоба́ს сърту́лло а́хе́кტи са́хнса́хлვрё́бдиთ са́хе́сხва́мба́დ (подвид) мониჩнё́вло.

ა́мյа́мад по- зи́рье́рбдиთ га́дмову́мушлó შემზლу́дло и мно́швнё́ллоба́ს რუ́сუ́лло ზმნის моне́дже́ди са́хе́маша́нде са́хе́маша́нде რიცხვს мониҷу́тვნე́бენ. ა́хе́ти моне́дже́ди са́хе́маша́нде ყუ́რა́длე́ბას ა́მა́хვი́ლე́ბს моне́дже́ди са́хе́маша́нде შეზლу́დუ́л мони́жვე́тზე. ზოგჯერ моне́дже́ди са́хе́маша́нде სა́хе́маша́нде სა́хе́маша́нде სა́хе́маша́нде დო́лго, неми́ного და მისთ., ა́ნდა კო́ნკრე́тუ́лло ში́ნა́არსის სიტუ́ვე́ბი: пять минут, два дня და მისთ. სე́მა́ნტი́კუ́რი თვა́ლсა́хрი си́от შემზლу́дло и моне́дже́ди са́хе́маша́нде გа́моми́шა́ტვე́ლი ზმნე́ди мხო́лмад დროში შეზლу́დუ́л моне́дже́ди са́хе́маша́нде გუ́ლისხმო́ბენ. ა́хе́ти моне́дже́ди გа́нუ́სა́хлვрё́ლ დროს (ერთხა́ნს) გრძე́лდე́ბა, თუ́მცა, უნდა ითქვა́ს, რომ ა́хе́ти ზმნე́диთ გа́моми́шა́ტვე́ლ მო́жმე́დე́ბას, ჩვეუ́ლე́ბრივ, აღვი́ქვა́მთ როგო́რც ისეთ მო́жმე́დე́ბას, რომე́ლიც დროის შედა́რე́бдиთ მო́კლე მონა́კვე́თს მო-იცა́ვს<sup>17</sup>. ე. გა́лна́იტიტეს ეს მომენტი ამ მно́швнё́ллоба́ს და́са́хе-ლე́ბაშიც გაუ́თვა́ლისწინე́ბია<sup>18</sup>.

ა́хе́ти მно́швнё́ллоба́ს по- зи́рье́рбди ყვე́ლა́ზე იდვი́ლად ა́რა-ზლვრა́დი მო́жმე́დე́ბას გა́моми́шა́ტვე́ლ ზმნე́ბს ადლე́ვს. ა́хе́ти ზმნე́ბი უმთა́ვრე́სად გа́რდაუვა́ლია (поехать, побегать და სъз.), თუმ-

<sup>14</sup> Г. К. Улья́нов. და́са́х. ნაშრომი, გვ. 51.

<sup>15</sup> Ф. Ф. Фортунато́в, და́са́х. ნაშრომი, გვ. 16—18.

<sup>16</sup> А. А. Шахмато́в, და́са́х. ნაშრომი, გვ. 475.

<sup>17</sup> А. В. Иса́ченко, და́са́х. ნაშრომი, გვ. 273.

<sup>18</sup> «Значение непродолжительности действия», ახ. Э. А. Галпайти-те, Глаголы с приставкой по- в русском литературном языке XIX—XX вв. (соотносительно с родственными по образованию литовскими глаголами). საკანდ. დისერტაციის ავტორეფერატი, მოსკოვი, 1959, გვ. 9.

ცა შეიძლება გარდამავალიც იყოს (побаюкать. поводить და ზოგი სხვ.).

ამ ჯგუფის პი-პრევერბიანი ზმნები სრულასპექტიანია.

თარგმნითი ლექსიკონების სათანადო მასალის შესწავლამ დაგვანახვა, რომ შემზღვდავი მნიშვნელობის ზუსტად გადმოსაცემად საჭირო ხდება ასეთი მნიშვნელობის ზმნების აღწერითად თარგმნა. ამ ტიპის ზმნების თარგმანი უმთავრესად ერთხანს სიტყვისა და ქართული აზრობრივი ზმნისაგან<sup>19</sup> (ანუ სათარგმნი ზმნის ფუძის შესაბამისი ფუძის ქმნება ქართული ზმნისგან) შედგება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ის, ჩვეულებრივ, მყოფადის უპრევერბო ფორმებით ან აწყვის ფორმებით აოის წარმოდგენილი, რომელთაც მყოფადის გავება აქვთ, ნამყოში კი — ნამყო ძირითადის უპრევერბო ფორმებით<sup>20</sup>. მაგ.: поахать ერთხანს ვიშვიში (ივიშვიშებს): пришли, поахали, да и ушли მოვიდნენ, ერთ ხანს ივიშვიშეს და ისევ წავიდნებ; побегать ერთხანს ჩენენა (იჩბენს): дети побегали и поиграли в саду ბავშვებმა ერთხანს იჩბინეს და ითამაშეს ბალში; погореть ერთხანს წვა, ნოება: свечка погорела и погасла სანთელი ერთხანს ენთო და ჩაქრა; порисовать ერთხანს ხატვა (ხატავს) და ბევრი სხვ.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, პი-პრევერბიანი ზმნების ასე აღწერითად თარგმნისას ქართულად გადმოიცემა მათი მხოლოდ სემანტიკურ-ასპექტური (მოქმედების სახეობის) მნიშვნელობა; რაც შეეხება მათ ასპექტურ მნიშვნელობას, ის გადმოუცემელი რჩება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პი-პრევერბიანი ზმნებით გამოხატულ მოქმედებას, ჩვეულებრივ, აღვიქვამთ როგორც ისეთ მოქმედებას, რომელიც დროის შედარებით მოკლე მონაკვეთს მოიცავს; ამიტომ რამდენიმე შემთხვევაში ამ ტიპის ზმნების თარგმნისას ლექსიკონებში მოშველიებულია კონკრეტული შინაარსის სიტყვები: ცოტა ხანს, ცოტა ხნით, რამდენენერმე და მისთ.; მაგ.: повор-

<sup>19</sup> ამ ტერმინის შესახებ იხ. ჩვენი წერილი „пере-პრევერბიან ზმნათა ქართულად გადმოცემის საშუალებანი“, კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, I, 1972, გვ. 233.

<sup>20</sup> აღსანიშნავია, რომ ნამყო ძირითადის უსრულასპექტიანი ფორმების ამ თავისებურებას ბ. რუდენკომ მიაქცია უზრაღლება: «Несовершенный... вид грузинского аориста выражает действие хотя и не законченное (не завершенное), но продолжавшееся лишь определенное, ограниченное время». იხ. Б. П. Руденко, Грамматика грузинского языка, АН СССР, Москва—Ленинград, 1940, გვ. 125.

чать Сотра баыс бүтәлүбө; поиграть Сотра баыс даязғыр: он играл на скрипке Сотра баыс зоомлобом даязғыр; помочить Сотра, Сотра баыт даязғыр: покружить (ся) рымдегенжермэ үйрөн үйрөнэ (үйрөн үйрөнэ), үйрөн үйрөнэ: птица покружилась над домом и улетела ჩиңмэ რымдегенжермэ үйрөн үйрөнэ: саебел და გაფრინდა და ზოგი სხვ.

Алсаңын Шенбағына, რომ რიგ Үйрөнбеке ებში ლျქსисүйнбекшი ამ ჯануғын და პრეзидентიანი ზမნები დამოუკიდებლად, დამაზუსტებელი სიტყვების გარეშე ნаебаრი ქართული ზမნების (მყოფაღის და ნამყო ძირითადის) უპრეზერბო ფორმებით არის ნათარგმნი. მაგ.: побеседовать მუსაიფი (იმუსაიფებს), საუბარი (ისაუბრებს): мы побеседовали с полчаса и разошлись ნახევარი საათი ვიმუსაიფეთ და დავიშალეთ; повеселиться გამხიარულება (იმხიარულებს); повластвовать ბატონობა (იბატონებს) და ბევრი სხვა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნამყო ძირითადის უპრეზერბო ფორმები მართლაც გამოხატავენ დროში შეზღუდულ მოქმედებას, მაგრამ მეტი სიზუსტისათვის, სადაც კი მოხერხდება, აჯობებს, რომ ამ ფორმებს ახლდეს დამაზუსტებელი სიტყვები. ასეთი ფორმები მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცემენ სათარგმნი ზმნების მნიშვნელობას.

მთელი რიგი Үйрөнбеке უნიშვნელობის მქონე ზმნები აკადემიისა და უნივერსიტეტის ლျქსიკონებში წა-პრევერბიანი ზმნებით არის ნათარგმნი. მაგ.: побалагурить წალაზლაბლარება; повоевать წაიომებს: пассажиры повоевали из-за мест в вагоне მგზავრებმა წაიომეს ადგილების გამო ვაგონში; поиграть წათამაშება; покупаться წაბანავება; покутить, попировать წაქიცება; поохотиться წანაღირება; поработать წამუშავება; спать წაძინება; посудачить წაჭორავება; побороться წაჭილავება და ზოგი სხვ.

წა- აღნიშნავს, რომ მოქმედება ზერელეა, სახელდახელოა<sup>21</sup>. წა- პრევერბი რიგ Үйрөнбеке ებში მოქმედების სიცორავეს, ოდნობას გამოხატავს<sup>22</sup>. ასეთ მოქმედებას ზოგჯერ აღვიქვამთ როგორც დროში შეზღუდულს. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში წა- სწორედ დროში შეზღუდულ მოქმედებას აღნიშნავს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლျქსიკონებში წარმოდგენილი წა- პრევერბიანი

21 „ქართული ენის განმარტებითი ლუქსიკონი“, ტ. 8.

22 ი. ვ. შავიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

ფორმები ყოველთვის ერთნაირად ბუნებრივი არ არის. მაგ.: გან-  
შარტებით ლექსიკონში არ შეღის წაილაზღანდარებს, წაილაყბებს,  
წაიყიდავებს, წაითმებს და ზოგი სხვ. ფორმები. გარდა ამისა, წა-  
პრევერბის შესაძლებლობები ამ მხრივ პი-პრევერბთან შედარე-  
ბით ძალზე შეზღუდულია.

საინტერესოა, რომ წევმის აღმნიშვნელ ფუძეებთან ღროის  
ფარგლებით შეზღუდულ მოქმედებას წამო-პრევერბი აღნიშნავს.  
მაგ.: побрызгать, покронить წამოწინწკვლა; покапать, покра-  
пать წამოწინამა, წამოწინწკვლა; поморосить წამოუინჯღვლა.  
წამოწინწკვლა და წამოუინჯღვლა ფორმებში ფუძის მნიშვნელობა-  
ცაა გასათვალისწინებელი.

საინტერესოა, რომ რამდენიმე შემთხვევაში ამ ტიპის ზმნები  
აკადემიურ ლექსიკონში ფუძეგაორკეცებული ქართული ზმნები-  
თაა გადმოცემული. მაგ.: поболтать გაქნევ-გამოქნევა; мальчик  
поболтал ногами ბიჭუნამ ფეხები გაიქნ-გამოიქნია; поводить  
გაატარ-გამოატარებს: он поводил взмыленную лошадь гаქაფუ-  
ლი ცხენი გაატარ-გამოატარა; побродить. походить გავლა-გა-  
მოვლა; погонять გაჭენ-გამოჭენება; подвигать გაწევ-გამოწევა;  
покрутить შეტრიალ-შემოტრიალება; он покрутил палку ჯოხი  
შეატრიალ-შემოატრიალა და ზოგი სხვ.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ფუძეგაორკეცებული ზმნები იქეთ  
და აქეთ მიმართულებას აღნიშნავენ<sup>23</sup> და ოუმცა სპეციალურად  
არ გახაზვენ მოქმედების შეზღუდულობას ღროის ფარგლებით,  
ჩანს, ასეთი სახის მოძრაობა მაინც ღროის გარკვეულ, შეზღუდულ  
მონაკვეთს გარაუდობს.

სათარგმნი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობას სათანა-  
დო გადა- და გადმო-, მო- და შე- და შემო- პრევერბები  
გამოხატავენ.

3. გაცილებით მცირერიცხოვანია ისეთ პი-პრევერბიან ზმნა-  
თა ჭგუფი, რომელიც შემარბილებელ მოქმედების სახეობას გამო-  
ხატავს. ზოგჯერ პი-პრევერბი არბილებს პერფექტული ზმნის შე-  
დეგობრივ მნიშვნელობას. ფაქტობრივად ამ შემთხვევაშიც ისევ  
შეზღუდვისთან გვაქვს საქმე, ოღონდ სხვა სახის შეზღუდვისთან.  
აქ ადგილი აქვს მოქმედების ინტენსიურობის შეზღუდვის და არა  
მოქმედების შეზღუდვის ღროის ფარგლებით. ასეთი პი-პრევერბი-

23 ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

ანი ზმნები აღნიშნავენ ცოტა, ნაწილობრივ, ზოგჯერ კი თანდათანობით, ნელ-ნელა მომხდარ მოქმედებას<sup>24</sup>.

ამ ჯგუფის ზმნები იწარმოება იმ-პრევერბის ორგორც პრევერბიან, ისე უპრევერბო ზმნებზე დართვით<sup>25</sup>.

ამ ტიპის ზმნებთან იშვიათად გვხვდება დამაზუსტებელი ზმნისართები, ამიტომ ჩვენ არ ვიზიარებთ გ. ულიანოვის აზრს, რომ პრევერბიან ზმნებს თავისთავად არა აქვთ შემარბილებელი (ულიანოვის ტერმინოლოგიით დემინუტიური) მნიშვნელობა და მხოლოდ კონტექსტში იღებენ მას<sup>26</sup>.

ასეთი ზმნები სრულასპექტიანია.

რაც შეეხება შემარბილებელი მოქმედების სახეობის გამომხატველი იმ-პრევერბიანი ზმნების ქართულად გადმოცემის საკითხს, როგორც თარგმნითი ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვამ დაგვანახვა, ასეთი ზმნები ქართულად აღწერითად ითარგმნება, მნიშვნელობის დამაზუსტებელი სიტყვების დახმარებით, რომლებიც ინტენსიურობის თვალსაზრისით ზღუდავენ ზმნის ფუძით გამოხატულ მოქმედებას. თვითონ ეს მოქმედება კი ქართული სრულასპექტიანი აზრობრივი ზმნით გადმოიცემა.

ამ ჯგუფის ზმნების თარგმნისას ლექსიკონები იშველიებენ სიტყვებს: ცოტა, ოდნავ, ცოტაოდენ და მისთ. მაგ.: პოკანнуть ოდნავ, ცოტა შერყევა, შეაჩევა: բურეй პოკანнуло სტოლ გრიგალმა ბოძი ცოტა შეარყია; პიօხინუ ცოტა შეშრობა; პიესტ ცოტაოდენის შეჭმა; პირავლება ცოტაოდენ გართობა და სხვ.

ასეთი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობა აღწერითად თარგმნისას სხვადასხვა ქართული პრევერბებით გადმოიცემა, რომლებიც აზრობრივ ზმნებს ახლავს.

საინტერესოა აღნიშნოთ, რომ ქართული წა- და შე- პრევერბები, რომლებიც ზოგჯერ მოქმედების სიცირქეს, სიცოტავეს გამოხატავენ, თავისი სიტყვაშარმოებითი შესაძლებლობებით იძღვნად განსხვავდებიან შემარბილებელი მოქმედების სახეობის გამომხატველი იმ-პრევერბიანისაგან, რომ მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევაში ხერხდება ამ ჯგუფის ზმნების წა- და შე- პრევერბებიანი ზმნებით თარგმნა. მაგ.: პიესტ წახემსება: პიესტ უკარისტონ გადმოიცემა.

24 А. В. Исаченко, დასახ ნაშრომი, გვ. 239.

25 Грамматика современного русского литературного языка, АН ССРР, 1970, გვ. 348.

26 Г. К. Ульянов, Значения глагольных основ в литовско-славянском языке, II, Варшава, 1895, გვ. 155.

წასვლის წინ წახემსება<sup>27</sup>; пообсохнуть შეშრობა (აკად. ლექს.); поизмять (ся) შესრესა (უნივ. ლექს.); пожурить შეტუქსავს. (ჩუბ. ლექს.).

ამ შემთხვევაში წა- და შე- პრევერბები სათარგმნი ზმნების სრული ასპექტის მნიშვნელობასაც გადმოსცემენ ქართულად.

4. რუსული ფო- პრევერბიანი და -ыва (-ива), -ва სუფიქსიანი უსრულასპექტიანი ზმნები გამოხატავენ მოქმედების წყვეტილობას, მოქმედების არარეგულარულ ჭრადობას (ზოგჯერ, დროდადრო) და მოქმედების არასრულ გამოვლინებას (ცოტა, ოდნავ). მაგ.: побегивать, повизгивать, повиливать და მისთ.

ზმნის ფუძის მნიშვნელობის შესაბამისად, მისი შინაგანი დანაწევრებულობის ხარისხის შესაბამისად, ხან ერთი ნიუანსია წინ წამოწეული, ხან — მეორე.

ა. შახმატოვი ასეთ მნიშვნელობას ასპექტურ მნიშვნელობად მიიჩნევდა<sup>28</sup>.

წყვეტილ-შემარბილებელი მოქმედების სახეობის გამომხატველი ზმნები ქართულად აღწერითად ითარგმნება. ამ ტიპის ზმნების სათარგმნად ქართული ენა, ჩვეულებრივ, იშველიებს ისეთ სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მოქმედება დროგამოშვებით, დროდადრო ხდება, ან რომ მოქმედება არ სრულდება მთელი ინტენსიურობით. ასეთ აღწერითს თარგმანში სათარგმნი ზმნის ფუძის მნიშვნელობა უსრულასპექტიანი აზრობრივი ზმნით გადმოიცემა.

მოქმედების არარეგულარობის საჩვენებლად ლექსიკონებში მოშველიებულია სიტყვები: დროდადრო, დროგამოშვებით, ხანგა-მოშვებით და მისთ. მაგ.: побалтывать 1. დროდადრო გაქნევა: сидит и побалтывает ногами ზის და დროდადრო ფეხებს იქნევს. 2. დროდადრო მორევა: побалтывает ложкой в стакане დროდადრო ჭიქს ურევს კოვზით; поглаживать დროდადრო ხელის წასმა, ხელის გაღასმა: он поглаживал больное колено დროდადრო ხელს ისვამდა მტკივან მუხლზე; постреливать დროგამოშვებით სროლა: постреливают из орудий დროგამოშვებით

27 ამ შემთხვევაში მოქმედების მცირე ინტენსიურობის გაგება ქართული ზმნის ფუძესაცა აქვს. შლრ. ხემსი.

28 А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Учпедгиз, 1941., 23. 475.

— сказали я и зевеши (ауд. ляж.). прогромыхивать 1. ხანგამოშვე-  
ბით ქუხილი. 2. ხანგამოშვებით ჩხარუნი (უნივ. ляж.) და სხვ.

წყვეტილ-შემარბილებელი მოქმედების სახეობის მნიშვნელო-  
ბის მეორე ნიუანსის — მოქმედების მცირე ინტენსიურობის —  
გამოსახატავად ლექსიკონები იშველიებენ სიტყვებს: ოდნავ, ცოტა,  
ცოტ-ცოტა, ცოტ-ცოტამით, ცოტა არ იყოს და სხვ. მაგ.: покачи-  
вать ოდნავ რხევა, ქანება, რწევა: она покачивает тело ტანს  
ოდნავ არხევს; поклевывать ცოტ-ცოტა კენკვა; полениваться  
ცოტა ზარმაცობა: мальчик стал полениваться ბიჭმა ცოტა ზარ-  
მაცობა დაიწყო; побаиваться შიში (ცოტა არ იყოს, ეშინია); комары  
покусывают ქოლოები, ცოტა არ იყოს, იკბინებიან და მისთ.

საინტერესოა, რომ ზოგჯერ ლექსიკონებში ამ ჯგუფის პი-პრე-  
ვერბიანი ზმნები ხოლმე ნაწილაკიანი აღწერითი ფორმებითაა ნა-  
თარგმნი. ასეთი ფორმები, როგორც ცნობილია, მოქმედების მრა-  
ვალგზისობას გამოხატავენ. მაგ.: побаливать წამოტკივება (წა-  
მოსტკივლება ხოლმე): у меня голова стала побаливать та же  
წამომტკივლება ხოლმე; подумывать ფიქრი (ფიქრობს ხოლმე):  
мы часто подумываем об этом ჩვენ ხშირად ვფიქრობთ ხოლმე  
ამაზე; покрикивать წამოყვირება (წამოყვირებს ხოლმე) და ზო-  
გი სხვა.

ხოლმე ნაწილაკიანი აღწერითი ფორმებისაგან განსხვავებით  
წყვეტილ-შემარბილებელი მოქმედების სახეობა მოქმედების მხო-  
ლოდ არარეგულარულ განმეორებას გულისხმობს. ამიტომ ზოგჯერ  
ასეთ ხოლმე ნაწილაკიან ფორმებს დამაზუსტებელი სიტყვაც  
(დროდადრო) ახლავს, რომელიც მოქმედების არარეგულარობას  
აღნიშნავს. ასეთი ფორმები ზედმიწევნით ზუსტად გაღმოსცემს  
სათარგმნი ზმნების მნიშვნელობას. მაგ.: он поговаривает об  
отъезде დროდადრო ლაპარაკობს ხოლმე წასვლაზე; время от  
времени болезнью покрикивал от боли დროდადრო ავალმყოფი  
წამოყვირებდა ხოლმე ტკივილისაგან.

რამდენიმე შემთხვევაში წყვეტილ-შემარბილებელი მოქმედე-  
ბის სახეობის შემარბილებელი ნიუანსი ქართული ზმნების ფუძის  
მნიშვნელობით გაღმოიცემა. მაგ.: покрапывать წინწკვლა (წინ-  
წკლავს), უინულვლა: все утро покрапывало матерло დილა წინ-  
წკლავდა; попыхивать ბუუტვა, უოლვა: огонек попыхивает  
ცეცხლი ბუუტავს. — В печке попыхивают дрова ღუმელში შეშა  
იფუუება; потягивать წრუპვა: он потягивает водку аრაყს წრუ-  
პვავს.

ამ ჯგუფის რუსული ზმნების წმინდა ასპექტური მნიშვნელობა უპრევერბო ქართული ზმნებით გაღმოიცემა.

5. იო-პრევერბთან არის აგრეთვე დაკაშირებული რუსული ზმნის განაწილებითი (დისტრიბუციული) მოქმედების სახეობის გამოხატვა.

აღსანიშნავია, რომ ზოგი პერ- და იო-პრევერბიანი ზმნა აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც რიგი აქტის ერთობლიობას წარმოადგენს და რიგ ობიექტზე ვრცელდება ან რიგ სუბიექტს მოიცავს<sup>29</sup>.

ასეთ მნიშვნელობას ასპექტური მნიშვნელობის ნიუანსად თვლილნენ<sup>30</sup>. ამჟამად განაწილებითი მნიშვნელობა მოქმედების სახეობად არის მიჩნეული. ასეთი მოქმედების სახეობისათვის დამახასიათებელია, რომ მოქმედება უბრალოდ რამდენიმე ობიექტს ან სუბიექტს კი არ მოიცავს, არამედ ყველა (ან ბევრ) ობიექტს ან სუბიექტს<sup>31</sup>.

ასეთი იო-პრევერბიანი ზმნები პერ- პრევერბიანი ზმნებისა-ვან განსხვავებით უცილებლად არ გულისხმობენ მოქმედების შესრულების თანმიმდევრულობას<sup>32</sup>. საერთოდ კი პერ- და იო-პრე-ვერბიანი ზმნების სემანტიკას შორის არ არის მკაფიო სხვაობა<sup>33</sup>.

განაწილებითი მნიშვნელობის გამოსახატივად იო-ხან უპრევერბო ზმნურ ფუძეებს ერთვის, ხან კი — პრევერბიანს.

განაწილებით მნიშვნელობას ხშირად კონტექსტში დამაზუსტებელი სიტყვები აზუსტებენ: ვეს, მного და მისთ.

ამ ტიპის ზმნები უმეტესწილად სრულასპექტიანია. თარგმნით ლექსიკონებში ასეთი იო-პრევერბიანი ზმნების ჯგუფი მცირერიცხოვანია.

განაწილებითი მნიშვნელობის მქონე იო-პრევერბიანი ზმნები ზოგჯერ ინტენსივობის და- პრევერბით<sup>34</sup> გაღმოიცემა. მაგ.: იი-ბить 3. დახოცვა: იი-ბить ვрагო მტრის დახოცვა; 4. დამტვრევა, დამსხვრევა, დალეჭვა: იი-ბить იი-ს დურჭლის დამტვრევა; გრა-დომ იი-ბილო ვას ფანჯრების მინები

<sup>29</sup> А. В. Бондарко, Л. Л. Буланин, Русский глагол, Ленинград, 1967, გვ. 20.

<sup>30</sup> Г. К. Ульянов, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

<sup>31</sup> А. В. Исаченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

<sup>32</sup> А. В. Бондарко, Л. Л. Буланин, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

<sup>33</sup> А. В. Исаченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 290.

<sup>34</sup> ინტენსივობის და-ს შესახებ დაწვრილებით იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 262—264.

მთლად დალეჭა; побудить დაღვიძება: он побудил всех в доме: სულ ყველა დააღვიძა სახლში; покусать დაკბენა; покрасть, по-таскать დაპარვა; посохнуть დახმობა და სხვ.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზოგჯერ და-პრევერბიანი ზმნების ფუძის სემანტიკაც ითვალისწინებს ობიექტების ან სუბიექტების სიმრავლეს. მაგ.: დამტვრევა, დამსხვრევა, დალეჭვა, დახოცვა.

რიგ შემთხვევებში იმ-პრევერბიანი ზმნების განაწილებითი მნიშვნელობა მხოლოდ ქართული ზმნების სემანტიკით გადმოიცემა. მაგ.: побить... გაულეტა: побить саранчу კალის გაულეტა; побросать დაურა, მყრა, მყურა; попадать დაცვივნა, ჩამოცვივნა; пошвырять გადაურა, ჩაურა; понавезти მოზიდვა და ზოვი სხვ.

თითო-ოროლა შემთხვევაში ამ ტიპის ზმნები გადა-პრევერბიანი ზმნებით ითარგმნება. გადა- ამ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ მოქმედება მოიცავს ყველა ობიექტს ან ობიექტს მთლიანად. მაგ.: пожечь გადაჭვა, გადაბუგვა: неприятель пожег деревни მტერმა სოფლები გადაჭვა, გადაბუგა; пощипать მთლად გადაძოვნა: лошадь пощипала всю траву ცხენმა მთლად გადაძოვა ბალახი.

თარგმნით ლექსიკონებში განაწილებითი მნიშვნელობის მქონე იმ-პრევერბიანი ზმნები ზოგჯერ ფუძეგაორკეცებული ზმნებით არის ნათარგმნი. მაგ.: попрятать მიმალვ-მომალვა; пораскидать, понабросать მყრა-მყურა; пораспросить მიკითხვ-მოკითხვა: попрятаться მიმალ-მომალვა; поубрать მილაგ-მოლაგება და ზოგი სხვა.

საყურადღებოა, რომ ეს იქთ-აქეთ მოქმედების გამომხატველი ფორმები ფაქტობრივად სუბიექტების ან ობიექტების სიმრავლეს გულისხმობენ. აღსანიშნავია, რომ ობიექტების ან სუბიექტების სიმრავლეს მხოლოდ ისეთი ფუძეგაორკეცებული ზმნები გულისხმობენ, რომლებიც სივრცეში გადაადგილებას არ გამოხატავენ.

როცა განაწილებითი მნიშვნელობის მქონე იმ-პრევერბიანი ზმნების თარგმნა ზემოთ განხილული საშუალებებით ვერ ხერხდება, საჭირო ხდება მათი აღწერითად თარგმნა. ასეთი ზმნების თარგმნისას ქართული ენა იშველიებს ზოგადად სიმრავლის გამომხატველ სიტყვებს — მრავალი, ბევრი, ბლობად ან კონკრეტული სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვებს — ყველა, სულ, მთელი და მისთ. მაგ.: попрятать გადამალვა (გადამალის მრავალს); пошить ბევრის შეკერვა; пожечь სულ დაწვა და მისთ.

როცა დამოუკიდებლად ნახმარი ქართული ზმნები ვერ გამოსატავენ განაწილებით მნიშვნელობას, სალექსიკონო სტატიების საერთო თარგმანში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი დამაზუსტებელი სიტყვები. როცა ასეთი დამაზუსტებელი სიტყვები მხოლოდ საილუსტრაციო ფრაზების თარგმნისასაა მოცემული, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი რუსული დამაზუსტებელი სიტყვების შესატყვისებს წარმოადგენებ და მათი ხმარება ყოველთვის არ არის აუცილებელი განაწილებითი მნიშვნელობის გადმოსაცემად.

6. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პრევერბები ზოგჯერ პერფექტულ მნიშვნელობასთან ერთად შედეგობრივ მნიშვნელობასაც აძლევენ ზმნებს. ყველაზე მეტ შედეგობრივი მნიშვნელობის ზმნას სწორედ ით-პრევერბი აერთიანებს.

ჩვეულებრივ, ასეთ ით-პრევერბს გრამატიზებულ პრევერბად თვლიან.

ზოგი ენათმეცნიერი შედეგობრივ მნიშვნელობას მოქმედების სახეობად თვლის<sup>35</sup>.

ამ საყითხთან დაკავშირებით საინტერესოა მ. ტელენკოვის აზრი, რომელიც შედეგობრივ მნიშვნელობას წმინდა ასპექტურ მნიშვნელობად თვლის, თუმცა გამორიცხულად არ მიაჩნია, რომ ოდესლაც ასეთი მნიშვნელობა ფინიტური, დაწყებითი და მისთ. მნიშვნელობის მსგავსი მნიშვნელობა ყოფილიყო<sup>36</sup>. საქმე ის არის, რომ, როცა პრეფიქსი ისეთ ფუძეს ერთვის, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა პრეფიქსის სემანტიკას უახლოვდება, ხდება მისი გრამატიზება, დესემანტიზაცია და ის სრული ასპექტის მაჩვენებლად იქცევა. ყველაზე აქტიური ამ თვალსაზრისით 0-, C- და ით-პრევერბებია<sup>37</sup>. ზოგ პრევერბს, რომელიც სრულასპექტიან საოპოზიციო ფორმას აწარმოებს, შეუძლია ერთდროულად შედეგობრივი მნიშვნელობაც მისცეს ზმნას<sup>38</sup>.

<sup>35</sup> А. В. Исаченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 243; А. В. Бондарко, Л. Л. Булянин, დასახ. ნაშრომი, გვ. 22. და სხვ.

<sup>36</sup> М. А. Теленкова, К вопросу о лексических и грамматических значениях глагольных приставок в современном русском языке: Ученые записки Московского государственного педагогического института им. В. И. Ленина, 216, 1964, გვ. 218.

<sup>37</sup> Грамматика современного русского литературного языка, АН СССР, Москва, 1971, გვ. 339.

<sup>38</sup> იქვე.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ჭირს მკაფიო ზღვრის გავლება შედეგობრივ და ორაშედეგობრივ მნიშვნელობებს შორის<sup>39</sup>.

ზოგჯერ იო-პრევერბიანი ზმნები აღნიშნავენ მოქმედებას, რომელიც თავიდან ბოლომდე შესრულდა, ასეთი მოქმედება ერთხელ ხდება. მაგ.: позвонить, постучать და შისთ. მაგრამ, როგორც ამ ჯგუფის ზმნების განხილვამ გვაჩვენა, მკაფიო ზღვრის გავლება ერთგზისი და ორაერთგზისი მოქმედების გამომხატველ ზმნებს შორის ვერ ხერხდება.

ამდენად, ჩვენ ერთად განვიხილავთ ზოგადად შედეგობრივი მნიშვნელობის მქონე იო-პრევერბიანი ზმნების ქართულად გადმოცემის საშუალებებს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ზმნების სემანტიკური ჯგუფები საკმაოდ ვრცლად აქვს დახასიათებული ა. სპაგის<sup>40</sup> და ე. ბახმუტოვას<sup>41</sup>.

შედეგობრივი მნიშვნელობის მქონე იო-პრევერბს რაიმე ერთი შესატყვისი ქართულ პრევერბებს შორის არა აქვს. თარგმნითი ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვამ დაგვანახვა, რომ ზოგადშედეგობრივი იო-პრევერბი თხუთმეტი სხვადასხვა ქართული პრევერბით გადმოიცემა.

ყველაზე ხშირად იო-პრევერბი გადმოიცემა და<sup>-42</sup> და პრევერბით. მაგ.: побледнеть ფერის დაკარგვა; побожиться დაფიცება; погибнуть დაღუბვა; погладить დაუთოება; помыть დაბანა და ბევრი სხვა, ან побагроветь გაწითლება; побелить გათერება; побранить გაჯავრება; побледнеть გაფითრება; повеселеть გამხიარულება; повредить გაფუჭება; побеспокоить გარჩა და ბევრი სხვა.

საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იო-პრევერბის გადმოსაცემად იხმარება შე-, მო-, ჩა-, ა-, მი-, წა- და გამო-

<sup>39</sup> А. А. Спагис, Парные и непарные глаголы в русском языке, издательство «Просвещение», Москва, 1969, гл. 253.

<sup>40</sup> А. А. Спагис, დასახ. ნაშრომი, гл. 50—57.

<sup>41</sup> Е. А. Бахмутова, Развитие видовой соотносительности в русском языке. Видовые пары, образованные путем префиксации, Казань, 1962.

<sup>42</sup> როგორც ცნობილია, ქართულში და-პრევერბი აღნიშნავს მოძრაობას საერთოდ, გარკვეული მიმართულების დაუსახელებლად (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, гл. 261). ასე რომ, და- მიმართულების ჩვენების საკითხში სხვებთან შედარებით ნეიტრალურია. ვფიქრობთ, რომ ამან განაპირობა მისახმარების სიხშირე ზოგადშედეგობრივი იო-პრევერბიანი ზმნების თარგმნისას.

პრევერბები. მაგ.: поберечь შენახვა; побеспоконть შეწუხება; побрызгать მოსურება, მოპურება; подонть მოვველა; побуреть ჩამუქება; погасить 1. ჩაქრობა, 2. ჩახშობა; помутить აძღვრევა, არევა; погорячиться აძილპილება; поздороваться, поклониться მისალმება; поколотить მიტყება, მიბერტყება; повергнуть წაქცევა; повздоровить წაჩხუბება; поглупеть გამოსულელება; попрощаться გამოთხოვება და სხვ.

უფრო იშვიათად ამ ჯგუფის იმ ქართული გადა- და ჩამო-პრევერბებით გადმოიცემა. მაგ.: погасить გადახდა; поцеловаться ერთმანეთის გადაკოცნა; поблекнуть ჩამოჭკნობა; повесить ჩა-მოკიდება და ზოგი სხვ.

ცალკეულ შემთხვევებში იმ პრევერბი შემო-, წამო-, გადმო- და ამო- პრევერბებით გადმოიცემა. მაგ.: поверить შემოწება; поспеть შემოსელა: виноград поспел ყურძენი შემოვიდა; побагроветь წამოჭარხლება; почерннуть ამოლება, ამოხავა; погрузить(ся) ამოვლება; позаимствовать გადმოლება და ზოგი სხვა.

ალსანიშნავია, რომ ხშირად ერთი და იგივე იმ პრევერბიანი ზმნა სხვადასხვა პრევერბიანი ზმნებით ითარგმნება. ჩვეულებრივ, ამის მიზეზი ის არის, რომ ხშირად ესა თუ ის იმ პრევერბიანი ზმნა სინონიმური ზმნებით გადმოიცემა ქართულად. ეს სინონიმური ფუნქციები კი განსხვავებულ პრევერბებს დაირთავენ. მაგ.: побить 2. დამარცხება, მორევნა. 3. დახოცვა, გაულეტა; поблекнуть ჩამოჭკნობა, გამოხუნება, გამჭრჭალება; побранить დატუქსვა, გა-ჯავრება, გაწყრომა და ბევრი სხვ.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი და იგივე ქართული ზმნური ფუნქციების სხვადასხვა პრევერბით არის წარმოდგენილი. მაგ.: повесить დაკიდება, ჩამოკიდება; поглядеть შეხედვა, გადახედვა, თვალის გადავლება; погасить ჩაქრობა, გაქრობა, დაქრობა და სხვ.

ზოგჯერ სხვადასხვა პრევერბები ერთსა და იმავე ფუნქციები დართვისას მოძრაობის მიმართულებას აზუსტებენ. მაგ.: положить-დადება, ჩადება; посадить 1. დარგვა, ჩარგვა; 2. დასმა, ჩასმა, შესმა და სხვ.

ბუნებრივია აგრეთვე, რომ ერთი და იგივე ზმნის სხვადასხვა მნიშვნელობების განსხვავებული ქართული ზმნებით თარგმნისას. სხვადასხვა ქართული პრევერბის ხმარება ხდება საჭირო. მაგ.: побить 1. გალახვა; 2. დამარცხება, მორევნა; 3. დახოცვა, დმოხოცვა, გაულეტა; 4. დამტვრევა, დამსხვრევა, დალეჭვა და სხვა.

როგორც ვნახეთ, იო- პრევერბს 15 სხვადასხვა ქართული პრე-  
ვერბი შეესატყვისება. იო- პრევერბი თითოეული ამ ქართული  
პრევერბისაგან განსხვავებით ზმნათა გაცილებით მეტ სემანტიკულ  
ჯგუფებს აერთიანებს და მაინც ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი  
ყურადღება: იო- პრევერბიანი ზმნების შესატყვისი ფერებსა და  
შეფერილობებთან დაკავშირებული და აგრეთვე მდგომარეობის  
გამომხატველი ქართული ზმნები უპირატესად გა- პრევერბს დაირ-  
თავენ. მაგ.: იიბაგროვეთ გაშითლება; იიბელი, იიბელება გა-  
თეთრება; იიგოლუბება; იიკრასება; იიგადება გაშითლება და  
სხვ.; ან მაგ.: იიბლენება; იიბლენება; იიბლენება გამჭრქალება;  
იიბლენება; იიბლენება; იიბლენება გასქელება და სხვა.

ამ ჯგუფის ზმნების თარგმნისას სხვა პრევერბები უფრო იშვი-  
ათად გვხვდება.

სხვა სემანტიკული ჯგუფების ზმნების თარგმნისას არ შეინიშ-  
ნება, რომ რომელიმე ქართულ პრევერბს ეძლეოდეს უპირატესობა.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ რიგ  
შემთხვევაში ამ ჯგუფის იო- პრევერბიანი ზმნები უპრევერბო ქარ-  
თული ზმნებით ითავონება. ეს ისეთი ზმნებია, რომლებიც საერთოდ  
არ დაირთავენ პრევერბს.

იო- პრევერბიანი ზმნების სათარგმნად, გამოყენებული ზოგი  
ქართული უპრევერბო ზმნა მხოლოდ მყოფადის წრეში გვხვდება.  
მაგ.: იიბერი ირშმუნებს; იიბერი ისინდისებს; იიბერი ნახავს.

რიგ ქართულ უპრევერბო ზმნას აშშყოსა და მყოფადის საზი-  
არო ფორმები აქვს. ასეთ ზმნებს მყოფადის წრეში სრული ასპექ-  
ტის გავება აქვთ. მაგ.: იიბერი უწყება (აუწყებს); იიბერი ბრძანება (უბრძანებს); იიბერი ბრძოლება (უბრძოლებს); იიბერი თხოვნა (სთხოვს) და მისთ.

ზოგი სრულასპექტიანი ზმნა აშშყოს ფორმებს მიმღეობითი<sup>43</sup>  
ზმნებით იისებს. მაგ.: იიბერი ნახავს (შდრ. ნახულობს); იიბერი  
იქადრებს (შდრ. კადრულობს); იიბერი ისესხებს (შდრ. სესხულობს).

იო- პრევერბიანი ზმნების სათარგმნად გამოყენებული ქართუ-  
ლი უპრევერბო ზმნების ერთი ჯგუფი მყოფადის გამოსახატავად  
ფორმათმონაცვლეობას მიმართავს. ზოგი ზმნა მყოფადისათვის გა-  
მოიყენებს თავისივე ფუძის მოქმედებითი გვარის სათავისო ან სას-

<sup>43</sup> ასეთი ზმნების შესახებ იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლე-  
ბი, I, გვ. 514.

ხვისო ქცევის ფორმებს. მაგ.: იინდიურისებს, ითაკილებს (შდრ. უკადრისობს, თაკილობს); იინდიურისებს (შდრ. ნათობს); იინდიურისებს (შდრ. ძუნწობს); იინდიურისებს (შდრ. საუზმობს); იინდიურისებს (შდრ. გრძნობს) და სხვა.

ზოგჯერ საარვისო ქცევის უნიშნო და ნიშნიანი ფორმები ენაცვლება ერთმანეთს. მაგ.: იინდიურისებს (შდრ. ვნებს); იინდიურისებს (შდრ. ჰკოცნის); იინდიურისებს (შდრ. სჯობნის).

თითო-ოროლა შემთხვევაში იუ-პრევერბიანი ზმნები ისეთი ქართული უპრევერბო ზმნებით ითარგმნება, რომლებიც განსხვავებული, სუპლეტური ფუძით გამოხატავენ სრულ ასპექტს. მაგ.: იინდიურისებს (შდრ. ეუბნება); იინდიურისებს (შდრ. აძლევს).

ჩვენ ზევით ოღვნიშნეთ, რომ ჭირს მკაფიო ზღვრის გავლება ერთ ჯერად და არა ერთ ჯერად შესრულებული მოქმედების გამომხატველ იუ-პრევერბიან ზმნებს შორის და ასეთი ზმნები დანარჩენ ზოგადულებულებრივ ზმნებთან ერთად განვიხილეთ. აღსანიშნავია, რომ უპრევერბო ზმნებით ნათარგმნი ზმნებისათვის თვალის გადავლებისას ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: უპრევერბო ზმნებით ისეთი იუ-პრევერბიანი ზმნებია ნათარგმნი, რომელთა მიერ გამოხატული მოქმედება, ვფიქრობთ, მართლაც გულისხმობს ერთ ჯერად შესრულებულ მოქმედებას.

ამრიგად, როგორც თარგმნითი ლექსიკონების სათანადო მასალის განხილვამ დაგვანახა, იუ-პრევერბიანი ზმნები სხვადასხვა საშუალებებით გადმოიცემა ქართულად.

1. დაწყებითი მნიშვნელობის იუ-პრევერბის ძირითადად სამი ქართული პრევერბი შეესატყვისება. ესენია გა-, წა- და და- პრევერბები.

ცალკეულ შემთხვევებში ასეთი იუ-პრევერბითაც გადმოიცემა.

2. შემზღვდავი, შემარბილებელი, წყვეტილ-შემარბილებელი და განაწილებითი მოქმედების სახეობათა გამომხატველი ზმნები, ჩვეულებრივ, ქართულად აღწერითად ითარგმნება, დამაზუსტებელი სიტყვების დახმარებით. სათარგმნი ზმნების ფუძის სემანტიკა ქართული აზრობრივი ზმნებით გადმოიცემა.

შემზღვდავი და განაწილებითი მოქმედების სახეობის გამომხატველი ზმნები ზოგჯერ ფუძეგაორეცეპტული ქართული ზმნებით ითარგმნება.

წყვეტილ-შემარბილებელი მოქმედების სახეობის გამომხატველი ზოგი ზმნა ხოლმე ნაწილაკიანი აღწერითი ფორმით გაღმოიცემა.

ქართული პრევერბების შესაძლებლობები ამ მოქმედების სახეობათა გამოხატვის თვალსაზრისით ძალზე შეზღუდულია.

3. ზოგადშედეგობრივი იო- პრევერბის სემანტიკური შესაძლებლობები თხუთმეტ სხვადასხვა ქართულ პრევერბს შორისაა განაწილებული.

რიგ შემთხვევაში ამ ჯგუფის რუსული ზმნები უპრევერბო ქართული ზმნებით ითარგმნება.